9175

საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 12 დეკემბერი, 1941 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 50 (209) ფასი 30 კაპ.

ბელადის სიტყვის განუზომელი ქმედითი ძალა

რაც დრო გადის, მით უფრო ცხადი და ნათელი ხდება, ჩვენი ბრძენი ბელადის ამხანაგი სტალინის მიერ ექვს და შვიდ ნოემბერს წარმოთქმულ მოხსენების და სიტყვის განუზომელი ქმედითი ძალა. მტკიცე რეალურ საფუძვლებზე დამყარებული ურყევი რწმენა ბელადისა ჩვენი ხალხის უეჭველ გამარჯვებაში სულ მოკლე ხანში გადაიქცა უძლეველ მატერიალურ ძალად. გამარჯვების რწმენით აღსავსე ბელადის სიტყვამ გააათკეცა საბჭოთა ხალხის საბრძოლო სულისკვეთება, გააძლიერა ჩვენი მამაცი არმიის შეტევის ძალა, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ჩვენი ზურგის შრომის უნარი.

— „საბჭოთა კავშირი და მისი მოკავშირენი,—სთქვა ბელადმა,—ეწევიან გამანთავისუფლებელ, სამართლიან ომს, რომელიც მიზნად ისახავს ევროპისა და სსრ კავშირის დამონებულ ხალხთა განთავისუფლებას ჰიტლერული ტირანიისაგან... მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენს არმიასა და ჩვენს ფლოტს ქმედითად და აქტიურად დაეხმაროს მთელი ჩვენი ქვეყანა“.

ბელადის ეს მოწოდება და მისი შესრულება ერთი შეიქნა. წარმოუდგენელი სისწრაფით ამუშავდნენ ქვეყნის სიღრმეში გადატანილი სამხედრო საწარმოები; ვეებერთელა ტალღად აზვირთდა სამეურნეო მუშაკების, პარტიული ორგანიზაციების, ოსტატების, სტახანოველების ინიციატივა საომარი იარაღების, კერძოთ, ტანკის საწინააღმდეგო იარაღის წარმოების საქმეში. რამდენიმე ათეულმა ქარხანამ უმოკლეს ვადაში გაადიდა ტანკისსაწინააღმდეგო ქვემეხების, თოფების, ნაღმსატყორცნების, გრანატების, ჯავშნისგამკვეთი ტყვიების, ცეცხლწამკიდი ბოთლების გამოშვება. არა მარტო მსხვილმა საწარმოებმა, არამედ პატარა სახელოსნოებმა და არტელებმაც კი დაიწყეს სამხედრო იარაღისა და მასალის წარმოება.

ბელადის მოწოდებით გაღვივებული ინიციატივა საბჭოთა ხალხისა ამით როდი შემოიფარგლა, მან მრავალნაირი ფორმა მიიღო. რად ღირს მარტო ის კვირაობა, რომელიც სისტემატურად ეწყობა კომკავშირის თაოსნობით და რომელმაც მხოლოდ 23 ნოემბერს კომკავშირის სახელობის სატანკო კოლონის მშენებლობის ფონდს მისცა 25 მილიონი მანეთი და 266 ათასზე მეტი შრომადღე. მოძმე რესპუბლიკები ეჯიბრებიან ერთმანეთს არა მარტო იმაში, თუ ვინ უფრო მეტს იმუშავებს სატანკო კოლონის საამშენებლო ფონდის გასადიდებლად, არამედ იმაში, თუ ვინ უფრო მეტ დახმარებას გაუწევს თბილი ტანსაცმლის შეგროვებით უშიშარ და გაუტეხელ წითელ არმიას, თუ ვინ უფრო მეტ წვლილს შეიტანს თავდაცვის სახალხო ფონდში. ამ პატრიოტული აღგზნების, ამ კეთილშობილი ძმური შეჯიბრების შედეგად წითელ არმიის საზამთრო დახმარების ფონდში უკვე დაგროვდა იმდენი თბილი ტანსაცმელი, რომ იგი უზრუნველჰყოფს მთელს პოლკებს, მთელს კორპუსებსა და არმიებს, ხოლო თავდაცვის სახალხო ფონდში შეტანილმა ნაღდმა ფულმა, ობლიგაციებისა და ძვირფასი ნივთების ღირებულებამ ორ მილიარდ სამას მილიონ მანეთს მიაღწია.

საბჭოთა ხალხი ჩვენი არმიისათვის ამ დახმარების გაწევით არ კმაყოფილდება და მიმართავს ახალ-ახალ ღონისძიებებს ჩვენი სახელოვანი მებრძოლების შეტევითი უნარიანობის გასაძლიერებლად. მაგალითად ყირგიზეთის კოლმეურნეები წითელი არმიის კავალერიის ნაწილებისათვის ამზადებენ საუცხოვო ბედაურებს, ველის აულების მცხოვრებლები ამზადებენ აღვირებს, უნაგირებს, ჩანთებს, მოსართავებს, დონის კაზაკები უნაგირებს, კაზაკის ცოლები—ფორმის ტანსაცმელს ჰკერავენ სახალხო მოლაშქრეებისათვის. მოსკოველი და ლენინგრადელი ქალები ქსოვენ ხელთათმანებს და წინდებს, დაღესტნის აულების მთიელი ქალები—თბილ თეთრეულსა და სვიტრებს. საქართველოს კოლმეურნეები ხილს, თამბაქოსა და ღვინოს უგზავნიან წითელი არმიის მებრძოლთ.

ასე ქმედითად და აქტიურად უპასუხა საბჭოთა ხალხმა საყვარელი ბელადის მოწოდებას.

ჩვენი მამაცი მეომრების, ფრონტზე მომქმედი მთელი ჩვენი არმიის პასუხიც ბელადის მოწოდებაზე ასევე აღმაფრთოვანებელი და ყველა საბჭოთა პატრიოტის გამამხნევებელია.

„სამამულო ომის ცეცხლში იჭედებიან და უკვე გამოიჭედნენ ახალი საბჭოთა მებრძოლები — მეთაურები, მფრინავები, არტილერისტები, ნაღმტყორცნელები, ტანკისტები, ქვეითნი, მეზღვაურები, რომლებიც ხვალ გერმანიის არმიის რისხვად გადაიქცევიან“, — გავიდა რამდენიმე დღე ბელადის ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ და ყოველი სახის იარაღის ჩვენი მებრძოლები მართლაც გამანადგურებელ რისხვად მოევლინენ გერმანელ ოკუპანტებს, მათ არა თუ შეაჩერეს შეტევა მოსკოვის მისადგომებზე, თავათაც გადავიდნენ კონტრიერიშებზე, სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს გერმანულ არმიებს მოსკოვთან, გარეკეს ისინი როსტოვიდან, ტიხვინიდან და ელეციდან, დაატოვებინეს მათ აურაცხელი ნადავლი—საომარი საჭურველი. ამავე დროს ბელადის მოწოდების საპასუხოდ ჩვენმა სახელოვანმა პარტიზანებმა მტრის ზურგში გააცხოველეს მტრის ცოცხალი ძალის და საჭურვლის განადგურება. არის ყველა ნიშანი იმისა, რომ ჰიტლერის ბანდიტური, მძარცველი არმია წითელი არმიისაგან მიიღებს ულმობელ და გამანადგურებელ ომს, როგორც მტერს აღუთქვა ბელადმა.

ჩვენი სახელოვანი არმიის გამარჯვებამ ფრონტის მთელ რიგ უბნებზე უნდა გაგვამხნევოს, მაგრამ თავს ბრუ არ უნდა დაგვასხას. ყოველ წუთს უნდა გვახსოვდეს, რომ უდიდეს საფრთხეს, რომელიც ჩვენს სამშობლოს თავს დასტრიალებს, ჯერ კიდევ არ გაუვლია. მუდამ დღე უნდა გვახსოვდეს ბელადის მოწოდება და ერთი წუთითაც თავს თვითდამშვიდების ნება არ უნდა მივცეთ. ყველგან, ყველა უბანზე, ყველა საბჭოთა პატრიოტმა უნდა იმუშაოს განუწყვეტლად და შეუსვენებლად იმისათვის, რომ მტკიცდებოდეს და ძლიერდებოდეს ჩვენი არმიის შეტევის ძალა. ამას გვავალებს დღეს სამშობლო და არც ერთმა ჩვენგანმა არ უნდა დაზოგოს თავისი ძალღონე ამ უწმინდესი მოვალეობის შესასრულებლად.

მოსკოვს

სოლომონ თავაძე

მსოფლიოს გულო, ერთა ძმობის ნათელო წმინდავ,
დიდი სტალინის უძლეველი გულით გამთბარო,
რაც კი ოდესმე რიჟრაჟი და მზე ამობრწყინდა,
შენს ვარსკვლავებზე კაშკაშებენ, ვით თვით სამყარო!

შენს წინააღმდეგ დაირაზმა ქვეყნად რაც არის
ბილწი, ვერაგი და მკვეხარა მტარვალის მონა,
დაიძრა ღამე, მარტოოდენ სისხლად რომ ჟონავს,
სურდა ჩაექრო ეგ ბრწყინვალე შენი ლამპარი.

მაგრამ შენს ბჭეებს კვლავ შეაწყდნენ მტრის ურდოები.
„ზამთარიაო“, გაჰკივიან უკუქცეულნი,
დაძრწიან, როგორც გაცოფებულ მგელთა ხროები
და მიძვრებიან სოროებში ზარდაცემულნი.

მაგრამ თვით მიწა, ჩვენი ქვეყნის მიწა მშობელი,
არ შეიფარებს გარეწართა ჯავშნიან ბრბოებს;
ჩვენი დროშების წმინდა შუქის უარმყოფელი
აქ მხოლოდ სიკვდილს, სამარცხვინო სამარეს ჰპოებს.

ზამთარიაო! დაე ყინვამ და ქარტეხილმა
შეჰკრას, შებოჭოს მათი გზები და მათი მკლავი!
ჩვენ სულს გვიშუქებს, ვით მომავლის ბრწყინვალე ხილვა,
ჩვენი სტალინის დიდი მზე და კრემლის ვარსკვლავი!

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება უხუცესი ბოლშევიკის, ქართველი ხალხის რევოლუციური მოძრაობის და ახალი ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწის

ფილიპე ესეს-ძე მახარაძის

გარდაცვალებას.

ამხ. ფ. ე. მახარაძე



საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსაგან

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიის ძველი მოღვაწე, საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი მშენებელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფილიპე ესეს-ძე მახარაძე.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

ამხანაგ ლ. პ. ბერიას დეპეშა

თბილისი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს
საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

თქვენთან ერთად ვწუხვარ უძველესი ბოლშევიკის ფილიპე მახარაძის გარდაცვალებას, რომლის მთელი სიცოცხლე და მუშაობა განუყრელად დაკავშირებულია საქართველოს კომპარტიის და ქართველი ხალხის რევოლუციური მოძრაობის ისტორიასთან. ქართველ ხალხში დიდხანს დარჩება ხსოვნა ამხ. ფილიპე მახარაძეზე, რომელმაც მთელი თავისი ძალღონე მოახმარა ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობას, ლენინ-სტალინის საქმეს.

ლავრენტი ბერია.

ამხანაგ ფ. ე. მახარაძის ხსოვნას

გარდაიცვალა ამხანაგი ფილიპე მახარაძე.

გარდაიცვალა უძველესი ბოლშევიკი, რომლის მთელი ხანგრძლივი პოლიტიკური მოღვაწეობა მჭიდროდ დაკავშირებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) და ქართველი ხალხის რევოლუციური მოძრაობის ისტორიასთან.

ამხანაგმა მახარაძემ თავისი ცხოვრება ჭაბუკობიდანვე დაუკავშირა მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლას.

ამხანაგმა ფილიპემ თავისი რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო არალეგალურ სტუდენტურ მარქსისტულ წრეში და 1905 წლის რევოლუციის წინა წლებში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს და ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობაში.

ამხანაგი ფ. მახარაძე მონაწილეობას იღებდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კავკასიის პირველი ყრილობის მუშაობაში, პეტროგრადში შემდგარ აპრილის პარტიულ კონფერენციაში, არაერთხელ ყოფილა არჩეული ჩვენი პარტიის ყრილობების დელეგატად.

ამხანაგი ფ. მახარაძე განიცდიდა დევნას თავისი რევოლუციური მოღვაწეობისათვის ცარიზმის წლებში, არალეგალურად მუშაობდა მენშევიკების ბატონობის პერიოდში და მთელ თავის ენერგიას ახმარდა ცარიზმისა და მენშევიკური ხელისუფლების დამხობისათვის, საბჭოთა წყობილების დამყარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეს.

ამხანაგი ფ. მახარაძე მუშაობდა საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ხოლო უკანასკნელ წლებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე და ეწეოდა დიდ მუშაობას საბჭოთა მშენებლობის დარგში.

როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, იგი აქტიურად იბრძოდა ჩვენი პარტიის პოლიტიკის გატარებისათვის.

თავისი მუშაობის ცალკეულ პერიოდებში ამხანაგ ფ. მახარაძეს ჰქონდა სერიოზული შეცდომები, რომელთა შესახებაც იციან პარტიულმა ორგანიზაციებმა.

მაგრამ შემდგომ წლებში ამხანაგმა ფ. მახარაძემ შეიგნო მის მიერ დაშვებული შეცდომები და პატიოსნად, ბოლომდე ასწორებდა მათ პრაქტიკულ მუშაობაში, თავის ძალებს ახმარდა საქ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის დირექტივების შესრულებისათვის ბრძოლის საქმეს.

ამხანაგი ფ. მახარაძე წავიდა ჩვენგან როგორც ლენინ-სტალინის პარტიის მებრძოლი, რომლის მთელი ენერგიაც ხმარდებოდა კომუნისტური პარტიის დიად საქმეს.

ასეთად იცოცხლებს იგი საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ფართო მასების ხსოვნაში.

კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, კ. შეროზია, გ. სტურუა, ა. რაფავა, ვ. ბუჩიაშვილი, ა. საჯაია, ა. თოფურიძე, ხ. იოხანოვი, ი. თავაძე, მ. ჯაში, ს. ხოშტარია, ი. კოჩლამაზაშვილი, ვ. ეგნატაშვილი, ვ. გრიგორიანი.

ომის გაკვეთილები

გერონტი ქიქოძე

გერმანელი ფაშისტების აზროვნებას, მათი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის პირველ დღეებიდანვე, ორი ძირითადი იდეა ფლობდა: ერთი ის რომ, ისინი ლურჯთვალებიანი და ქერათმიანი ზეკაცები არიან, მოწოდებულნი ახალი არისტოკრატია მისცენ თავიანთ ვითომდა გადაგვარებულ, ილაჯგამოცლილ და მდარეხარისხოვან მეზობელ ერებს, და მეორე ის რომ, თითქოს მათს სამშობლოს შესაფერი ადგილი არ ეჭიროს მზის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ მათი მეზობლები არ ცნობდნენ, რომ გერმანელი ფაშისტები ახლადმოვლენილი არისტოკრატები და კაცობრიობის გამაახლებლები ყოფილიყვნენ, ნიცშეს ან გრაფ გობინოს გაგებით, ისინი ბოლო წლებში დათმობაზე მიდიოდნენ და ნებსით თუ უნებლიედ გერმანიას ხელს არ უშლიდნენ ტერიტორიულად გაფართოვებულიყო და კულტურული აღორძინების გზას დასდგომოდა.

უნდა ითქვას, რომ თუ ჰოჰენცოლერნების გერმანია, ეგრეწოდებული მეორე იმპერია 1918 წელს დამარცხდა, ეს უმთავრესად მისივე პოლიტიკური ხელმძღვანელების ბრალი იყო. თავიანთი ტლანქი და წინდაუხედავი პოლიტიკით მათ თავიანთი სამშობლოს წინააღმდეგ მთელი კაცობრიობის უდიდესი ნაწილი აამხედრეს და გერმანია პოლიტიკის და დიპლომატიის ასპარეზზე დაამარცხეს, სანამ ის საომარ ასპარეზზე დამარცხდებოდა. ბრესტის ზავი გერმანელი ერის ხელმძღვანელებისთვის უდიდესი პოლიტიკური გამოცდა იყო. აქ მათ საქვეყნოდ გამოამჟღავნეს, რომ მოკლებულნი იყვნენ დიპლომატიურ ტაქტს, ზომიერების გრძნობას და სამართლიანობის შეგნებას, და თავიანთ დასავლეთელ მოწინააღმდეგეთ დაანახვეს, რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდათ, თუ ისინიც რუსეთივით დამარცხდებოდნენ. როდესაც ამის შემდეგ ანტიგერმანული კოალიციის ჯარები ბალკანეთსა და ჩრდილოეთ საფრანგეთში გენერალურ შეტევაზე გადავიდნენ, გერმანელმა ერმა და მისმა მეთაურებმა დაამტკიცეს, რომ მათ სხვა რამეც აკლდათ, გარდა სწორი პოლიტიკური პერსპექტივისა და კეთილგონიერი ზომიერებისა. ჯერ კიდევ არც ერთ მტრის ჯარისკაცს გერმანიის საზღვრები არ გადაელახა, რომ გერმანელი ერი და მისი არმია მორალურად მოიდრიკა, ხოლო მისმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა ჯერ კომპიენის ტყეში და შემდეგ ვერსალში ხელი მოაწერეს დამამცირებელი და გამანადგურებელი ზავის პირობებს, ერთი შეხედვით, სრულიად მოულოდნელს ოთხი წლის ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვებების შემდეგ. ერთი სიტყვით, დიდი იმპერიალისტური ომის დროს გერმანელმა ერმა გამოცდა ჩააბარა იმ საგნებში, სადაც შეჯავშნული მუშტის ძალა იყო საჭირო, მაგრამ სამარცხვინოდ ჩაიჭრა, როგორც კი ნებისყოფის სიმტკიცე და პოლიტიკური აზროვნების სიღრმე და ელასტიურობა მოსთხოვეს.

თანამედროვე გერმანიის პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა გამოამჟღავნეს, რომ მათ ვერაფერი უსწავლიათ უახლოესი წარსულის გაკვეთილებიდან. მათ რომ კეთილგონიერების ნატამალი ჰქონოდათ, ისინი უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ იმით, რასაც თავიანთი პარტნიორების უმაგალითო შემწყნარებლობითა და სულგრძელობით მიაღწიეს: მათ შესაძლებლობა ეძლეოდათ მშვიდობიანი გზით, ერთი ტყვიის გაუსროლად, გალატაკებული და გახეიბრებული ქვეყანა იმ სიმაღლეზე აეყვანათ, რომელზედაც ოცნებაშიც არ ასულან მათი უფრო ჭკვიანი და წინდახედული წინამორბედები, გაერთიანებული გერმანიის ფუძემდებლები, ბისმარკები და მოლტკეები. მაგრამ აღმოჩნდა, რომ გერმანელი ფაშისტების მადა უსაზღვრო ყოფილა, აღმოჩნდა, რომ ისინი ლამობენ მთელი მსოფლიო დაიპყრან, ესე იგი იმაზე მეტი გააკეთონ, რაც საშუალო საუკუნეებში ოტონების, ჰოჰენშტაუფენების და ჰაბსბურგების გერმანიამ გააკეთა, შექმნან ახალი ტიპის „რომის იმპერია გერმანიის ნაციისა“, რომელსაც, როგორც ისტორიიდან ცნობილია, გერმანელი ერის დაქუცმაცება და ხანგრძლივი პოლიტიკური უილაჯობა მოჰყვა.

გერმანელი ფაშისტების უგუნურებამ თავის მწვერვალს მიაღწია, როდესაც ისინი თავიანთი ნაცადი გზით, ყოველი ტრადიციულად მიღებული საერთაშორისო ნორმის დარღვევით, ომის გამოუცხადებლად მუხანათურად თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს. გერმანელებმა წარმოიდგინეს, რომ ყველაზე იოლად სავალი გზა აღმოსავლეთისკენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გადიოდა, რომ თუ ისინი ამ მიმართულებას აირჩევდნენ, გზადაგზა ხელში ჩაიგდებდნენ ჩვენი ხალხის კუნთების ძალით და ნერვების წვენით აგებულ სამრეწველო ცენტრებს, თავს დაიპურებდნენ უკრაინის და ცენტრალური რუსეთის ხორბლეულით და ძვლებს გაითბობდნენ ბაქოს ნავთით. საქართველო ამ დიდ შარა გზაზე სძევს, რომელმაც, ფაშისტების იდეოლოგების და პოლიტიკოსების აზრით, ჩიხში მოქცეული გერმანია წინა აზიაში უნდა გაიყვანოს. ჩვენ არ ვიცით, რა ადგილი უჭირავს ქართველ ერს იმ სკალაზე, რომელიც ფაშისტების რასობრივი თეორიის შემქნელებმა ამართეს. მაგრამ რადგან ჩვენ წმინდა წყლის არიელები არ ვართ და ბუნებას ჩვენთვის ლურჯი თვალები და ქერა თმა უხვად არ მოუმადლებია, ცხადია, რომ საპატიო ადგილი არ უნდა გვეჭიროს ამ სკალაზე. გერმანელი ფაშისტები, რომელნიც თავიანთი სამშობლოს დიდ ადამიანებს აბუჩად იგდებენ და სდევნიან, თუ მათ სისხლში მცირეოდენი არაარიული შენაკადი აღმოჩნდა, პატივისცემით ვერ მოეპყრობიან ქართველ ერს, რომელიც ორი დიდი ტომის, იბერიელების და კოლხების შენაერთს წარმოადგენს და რომლის სისხლს მრავალ საუკუნეთა მანძილზე მეტნაკლებად ალბანელების, ყიფჩაღების, სომხების და სხვა ერების სისხლიც შეერია.

მაგრამ, ცხადია, რომ გერმანელ ფაშისტებს აინტერესებს, უწინარეს ყოვლისა, არა ქართველი რასის სიწმინდე, არამედ ჩვენი სამშობლოს სტრატეგიული მდგომარეობა და ბუნებრივი სიმდიდრე, ჩვენი მატყლი, ქვანახშირი, სუბტროპიკული მცენარეები, ნავთის გამტარებელი მილი, ნავსადგურები. აინტერესებს თუ არა მათ იმის გაგება, რომ ქართველი ერის დიდი ხელმძღვანელები სრულიად გარკვეულ პოლიტიკას აწარმოებდნენ თითქმის ოთხი საუკუნის მანძილზე ალექსანდრე კახთა მეფისა, ვახტანგ მეექვსისა, ირაკლი მეორისა და სოლომონ პირველიდან დაწყებული გრიგოლ ორბელიანსა, ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძემდე, ესე იგი ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართველი ერი სასოწარკვეთილ ბრძოლას ეწეოდა თავისი ბიოლოგიური არსებობის შესანარჩუნებლად, და მით უმეტეს ის სხვა პოლიტიკურ გზას არ აირჩევს დღეს, როდესაც საქართველო თავისი დიდი ძმადნაფიცი რუსი ერის დახმარებით ეკონომიური და კულტურული აღორძინების გზას დაადგა?

თანამედროვე გერმანიის ხელმძღვანელებმა ბევრი რამ დიდი დაგვიანებით გაიგეს, ბევრ რამეს კიდევ მაშინ გაიგებენ, როდესაც უკან დასახევი გზები გადაჭრილი ექნებათ. გერმანელმა ფაშისტებმა დიდი დაგვიანებით გაიგეს, რომ, რისი მიღწევაც შედარებით ადვილი იყო პოლონეთსა, სკანდინავიასა, საფრანგეთსა, ბალკანეთში, ის შეუძლებელი ყოფილა საბჭოთა კავშირში. მათ დასთვალეს თავიანთი და ჩვენი ტანკები, ქვემეხები და ჰაეროპლანები, მაგრამ სათვალავში არ ჩააგდეს წმინდა ზნეობრივი ხასიათის ფაქტორები, ჩვენი ანთებული პატრიოტიზმი, ჩვენი ერთსულოვნობა, თავგანწირულობა და ნებისყოფის სიმტკიცე; მათ უგუნური ჯადოქრების მსგავსად ჩვენი ქვეყნის მიწა-წყლის სიღრმეებიდან გამოიწვიეს უძლეველი ბუნებრივი სტიქიონები, რომელთა დაურვება და მოთვინიერება არავითარ ადამიანურ არმიას არ ძალუძს, რარიგ ორგანიზაციულად მოწყობილი და შეჯავშნულიც უნდა იყოს იგი. მათ ანგარიში არ გაუწიეს იმ გარემოებას, რომ მათთვის საძულველი მატერიალისტური ფილოსოფია ჩვენ ხელს არ გვიშლის უდიდესი ზნეობრივი იდეალიზმი გამოვიჩინოთ და თუ ეს ჩვენი სამშობლოს მიწაწყლისა და ჩვენი უმაღლესი იდეალების გადასარჩენად საჭირო აღმოჩნდა, ცეცხლს მივცეთ ჩვენი ქარხნებიც და ჩვენი პურის ძნებიც. და ის კოცონები, რომელნიც დანტეს ჯოჯოხეთის მოარული ცეცხლის ენების მსგავსად, გერმანელთა ფაშისტების ჯარს გზას უნათებდნენ დროებითი წინსვლის დროს და გზას გაუნათებენ უკან დახევის დროსაც, მათ დაგვიანებით დაარწმუნებს, რომ არც მშვიდობიანობის დროს და არც ომში მარტოოდენ პედანტური ანგარიშწარმოებით არ შეიძლება არაწონადი ზნეობრივი და ფხიზელი ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინება. ბოლოს მათ სათვალავში არ ჩააგდეს ის, რომ საბჭოთა კავშირს სათავეში უდგას ადამიანი, აღზრდილი პატარა, მაგრამ მტკიცედ ჩარკინული ციხის გვერდით, რომელსაც თავისი მრავალსაუკუნიანი ისტორიის მანძილზე ბევრი მტრულად განწყობილი საალყო ჯარი უნახავს და უკუუქცევია და რომ ეს ადამიანი ამ ციხის დაკბილული ქონგურებიდან სიყრმიდანვე შეეჩვია კლასიკურად უბრალო პეიზაჟების და ფართო ჰორიზონტების ცქერას. მით უმეტეს მისი პოლიტიკური ჰორიზონტი კიდევ უფრო ფართოა, ხოლო პერსპექტივა კიდევ უფრო სწორი დღეს, როდესაც ის კრემლის ციხე-სიმაგრეში ზის.

ჩემი მეზობელი

გიორგი კაჭახიძე

თოფს ურჩევნოდა იფნის უღელი,
ხმალს გუთანი და სახრე რჩეული;
თუმცა მოუკლავს ზოგჯერ კურდღელი,
მგელი სოფელში შემოჩვეული.
გამოუცდია დავა, გაკილვა,
სხვების ძირმწარე დავაც უნახავს,
მაგრამ აროდეს კაცის განგმირვა
არ უფიქრია, არ განუზრახავს.
იგი გლეხია, დინჯი მშრომელი,
უცხოვრია და ცხოვრობს კაცურად.
სიცოცხლესავით უყვარს სოფელი,
პურის მოყვანა, ყურძნის დაწურვა.
უყვარს ძმებს შორის დავის ჩაქრობა,
მეგობრობაში რაც წარმტაცია.
იგი დინჯია, მაგრამ მზაკვრობამ,
მტრის ვერაგობამ რისხვად აქცია.
დღეს სული მისი ცეცხლებრ გიზგიზებს,
გულის წვა მკერდით ვერ დაუფარავს.
შურისძიების გრძნობით ითვისებს
იგი შაშხანას და ხელყუმბარას.
თვალს არ უსწორებს სევდას წამიერს,
გამარჯვებათა რწმენით ივსება.
არ ათელვინებს კაციჭამიებს
თავის მამულს და კაცურ ღირსებას.
შრომობს... შაშხანაც ხელში უპყრია,
ფიქრით ფრონტზეა თითქოს გასული.
ჯერ კაცის სისხლი არ დაუღვრია,
მაგრამ ფაშისტში რაა კაცური!
ვერ შეაჩერებს, გზას ვერ შეუკრავს
ფიქრი სიკვდილზე, შიში ფარული
და მტერს გაგმირავს, როგორც მოუკლავს
მგელი სოფელში შემოპარული.

ქართველი მეომრის სიტყვა

ალეკო შენგელია

მე მიყვარს ჩემი მამული წმინდა,
ჭაბუკს რომ ფარად მიჰფარებია,
მე არწივების ქვეყანა მზრდიდა, —
მკერდით ქუხილი მიტარებია...

როცა გვეძახის გმირებს სალაშქროდ
ბელადი, ყველა გულის მფლობელი;
როგორც არასროს, როგორც არასდროს
მე მიყვარს ჩემი ხალხი მშობელი.
მე მიყვარს ჩემი თეთრი აკვანი, —
დღეები დღეებს გაკიდებული,
მისი ნამდვილი, მისი ზღაპარი
და ხვალინდელი დღე დიდებული.

მე მიყვარს იგი, და თქვენთან ვდგები,
ჩემს დევგმირებთან, ჩემს ვაჟკაცებთან,
სამშობლოსათვის თუ კი მოვკვდებით,
სიკვდილშიც გვმართებს ჩვენ ალტაცება!..

დე, შერცხვეს, ძმანო, ვინც დაგვტიროდეს
უკვდავ საქმისთვის თავდადებულთა,
ვინც არ უმღეროდეს წმინდა ჭრილობებს
მამულისათვის ანთებულ გულთა!..

მხდალი

ბორის გორბატოვი

დღეს დილით დავხვრიტეთ ანტონ ჩუვირინი, მესამე ასეულის მებრძოლი.

პოლკი ოთხკუთხედად იდგა. ცა მრისხანედ გამოიყურებოდა. ყვითელი ფოთოლი თრთოლით ეცემოდა ტალახზე. ჩვენი მწყობრი გაქვავებული იყო, არავინ არ ინძრეოდა.

იგი ჩვენ წინ იდგა, უკან ხელებშეკრული, მაზარა-გადაცმული, რომელზედაც ქამარი არ ერტყა,—უბადრუკი, მხდალი, გამცემი, დეზერტირი ანტონ ჩუვირინი. საზიზღარ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ჩვენთვის პირდაპირ ვერ შემოეხედნა. ეშინოდა ჩვენი, ამხანაგებისა. ჩვენ ხომ იმან გაგვცა, იმან გაგვყიდა!

იყო თუ არა ის გერმანელთა გამარჯვების მოსურნე? არა, რა თქმა უნდა, არა, როგორც ყოველი რუსი. მაგრამ მას კურდღლის სული ჰქონდა, ხოლო მკერდში თრითინას გული ედო. ისიც, ალბათ, ფიქრობდა ცხოვრებასა და სიკვდილზე, საკუთარ ბედზე. ასე გადასჭრა მან თავისი ბედი: „ჩემი ბედი ჩემი ტყავის გადარჩენაა“.

ეგონა უთუოდ, ეშმაკურად ვმსჯელობო: თუ ჩვენ გავიმარჯვეთ — ხომ კარგი, სწორედ ჩემს ტყავს გადავარჩენო. თუ გერმანელებმა გაიმარჯვეს —რას ვიზამ, დავუდგები მონად გერმანელებს: კვლავ შევინარჩუნებ საკუთარ ტყავს.

მას უნდოდა დრო მოეგო, გაჭცეოდა ომს, თითქოს შესაძლებელი იყოს თავის დამალვა. უბადრუკს უნდოდა, რომ მისთვის, მისი ბედისთვის სხვას ებრძოლა, რომ მომკვდარიყვნენ მისი ამხანაგები და არა თავათ ის.

ჰოი, უბედურო ანტონ ჩუვირინო, მოსტყუვდი, დიახ, მოსტყუვდი! არავინ შენთვის არ იბრძოლებს, თუ თავათ შენ ბუჩქებში დაიმალები. აქ ყველა იბრძვის თავისთვის და სამშობლოსთვის! თავის ოჯახისთვის და სამშობლოსათვის! თავის ბედისთვის და სამშობლოს ბედისთვის! ვერ განგვაშორებ, გესმის თუ არა, ვერ განგვაშორებ ჩვენს სამშობლოს, ვერ მოგვწყვეტ მას: სისხლით, გულით, სულით შევეხორცეთ მას. მისი ბედი ჩვენი ბედია. მისი დაღუპვა ჩვენი დაღუპვაა. მისი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა.

და როდესაც გავიმარჯვებთ, ყველას ვკითხავთ: რა გააკეთე შენ გამარჯვებისთვის?

არაფერს არ დავივიწყებთ. არავის არ ვაპატიებთ.

აი გდია შამბნარში ის, ანტონ წყეული — ადამიანი, რომელმაც თავათ მოსწყვიტა თავისი თავი სამშობლოს ამ სამშობლოსათვის მრისხანე საათში. მან თავისი ტყავი დაიცვა ძაღლური ცხოვრებისათვის და ძაღლური სიკვდილი-კი ჰპოვა.

ჩვენ მის წინ მივდივართ, ასეულებად დაწყობილნი. მივდივართ რკინის ნაბიჯით, მივდივართ ისე, რომ არცკი ვუყურებთ, არცკი ვიბრალებთ მას. გარიჟრაჟზე საბრძოლველად გავწევთ. შევუტევთ ხიშტებით, ვიბრძოლებთ ისე, რომ სიცოცხლეს არ დავზოგავთ. იქნებ თავიც შევწიროთ. მაგრამ არავინ არ იტყვის ჩვენზე რომ შევშინდით, რომ მხდალები ვიყავით, რომ საკუთარი ტყავი ვამჯობინეთ ძვირფას სამშობლოს.

დასავლეთის ფრონტი. მომქმედი არმია.

ნაცისტების წინაპრები ჰენრიხ მანის რომანში

გერმანულ ფაშიზმს აქვს თავისი ფესვები გერმანიის წარსულში, გერმანული კაპიტალიზმის განვითარების ისტორიულ თავისებურებაში. თუ როგორ წარმოიშვა და როგორ ვითარდებოდა თანდათან ჰიტლერული ფაშიზმი, ამის შესახებ მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს ცნობილი გერმანელი მწერლის ჰენრიხ მანის რომანი „ერთგული ქვეშევრდომი“, მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში და ერთ-ერთი საუკეთესო ანტიფაშისტური ნაწარმოები.

ჰენრიხ მანის ეს ნაწარმოები რეალისტური სატირაა და გამოხატავს მასების ოპოზიციურ განწყობილებას გერმანულ იმპერიალიზმისადმი.

„ერთგულ ქვეშევრდომში“ ჰენრიხ მანმა შესძლო ვილჰელმის დროინდელი ტიპიური გერმანელი ბურჟუას იმგვარად დახატვა, რომ მასში აშკარად გამოჩნდა დღევანდელი ფაშისტი ბარბაროსის სულიერი თვისებები.

გერმანული ბურჟუაზიისათვის ისტორიულად დამახასიათებელია დემოკრატიული ჩვევების უქონლობა. მარქსი აღნიშნავდა, რომ გერმანელებმა ახალ ხალხებთან ერთად გაიზიარეს რესტავრაცია, მაგრამ არ გაიზიარეს რევოლუციაო. ჰენრიხ მანის რომანებში, განსაკუთრებით „ერთგულ ქვეშევრდომში“, ასახულია გერმანული ბურჟუაზიის ისტორიულად გამომუშავებული თვისებები: პოლიტიკური რეტროგრადობა, შიში პროლეტარიატის წინაშე, შემარიგებლობა და შეგუება ფეოდალურ მონარქიულ რეაქციასთან, უბადრუკი პროვინციალობა, რომელიც უთავსდება მსოფლიო ბატონობის იდიოტურ პრეტენზიებს.

ის კონტრასტი წვრილმან საქმეებსა და დიდ ილუზიებს შორის, რომელსაც მარქსი და ენგელსი პოულობდნენ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის გერმანელ ბიურგერებში, უფრო მკვეთრად გამოჩნდა ასი წლის შემდეგ, როცა ახალგაზრდა გერმანულმა იმპერიალიზმმა მოინდომა მსოფლიოს ხელახალი განაწილება და იმ წილის მიღება, რომელიც მსოფლიოს წინანდელი გაყოფის დროს მას არ არგუნეს.

ჰენრიხ მანის რომანის „ერთგული ქვეშევრდომის“ მთავარი გმირი დიდერიხ ჰესლინგი ამ კონტრასტის ცოცხალი განსახიერებაა. ჰესლინგი ყოვლად უმნიშვნელო ადამიანია და იმავე დროს დაავადებულია განდიდების მანიით, ის მხდალი, მშიშარაა და იმავე დროს შეპყრობილია ძალა-უფლების ისტერიული წყურვილით. იგი ერთსა და იმავე დროს მონათმფლობელიც არის და მონაც. იგი ცინიკური, მხეცური უტიფრობით ეწევა თავისი ფაბრიკის მუშების ექსპლოატაციას და ამასთან ერთგვარ მოწიწებას გრძნობს თავადაზნაურობისა და ჩინოვნიკის მუნდირის წინაშე.

დიდერიხ ჰესლინგი კაიზერ ვილჰელმის აღტაცებული მოთაყვანეა. მას მოსწონს იმპერატორის პოლიტიკის სამხედრო მიმართულება. მას კანიბალურ სიხარულს განაცდევინებს აზრი მოსალოდნელი ომის შესახებ. ის წინასწარ ანგარიშობს და აჯამებს იმ მოგებას, რომელსაც ომის დროს მისცემენ მას მთავრობის შეკვეთები. მას წინასწარ მხიარულ გუნებაზე აყენებს ის, რომ ომი წინ გადაეღობება საზღვარგარეთული ფაბრიკების პროდუქციის შეტანას გერმანიაში. დიდერიხ ჰესლინგი ერთი იმათგანია, ვისთვისაც იმპერიალისტური ომი საშინლად მომგებიანი საქმეა. აქ არის იმპერატორისადმი ჰესლინგის ერთგულების ფესვები, ერთგულებისა, რომელიც ისე შორს მიდის, რომ დიდერიხ ჰესლინგი კაიზერთან შეხვედრისას მეტის-მეტი მოწიწების გამო, წუმპეში ვარდება.

მშვიდობიან პირობებში ჰესლინგს შესწევს უნარი შემოსავლის წყაროდ გახადოს თავისი „ერთგული ქვეშევრდომობა“. იგი მოკლებულია საქმიანი კაცის ელემენტარულ უნარს და როცა თავის ფაბრიკას მართავს, ყოველთვის შეცდომებს სჩადის და საქმეს აფუჭებს. სამაგიეროდ საქმეს აკეთებს პოლიტიკური ინტრიგებით. ადგილობრივ საიმპერიო ჩინოვნიკებთან ერთად, რომლებსაც ის მონურად ელაქუცება, იგი ლაშქრობას აწყობს ლიბერალების წინააღმდეგ, უზრუნველჰყოფს რეაქციულ-მონარქიული ძალების გამარჯვებას თავის მშობლიურ ქალაქში; ამასთან ანგარიშს უსწორებს თავის კონკურენტებს და ეპატრონება მათ ქონებას. ბრძოლას თავისი კარიერისა და თავისი გამდიდრებისათვის ჰესლინგი „ნაციონალურ საქმისათვის“ ბრძოლად აცხადებს და ამ ბრძოლის დროს იგი სხვადასხვა საშუალებას მიმართავს: ერთი თავისი კონკურენტის წინააღმდეგ იგი იწყებს პროვოკაციულ პროცესს, თითქოს მან შეურაცხჰყო მისი უდიდებულესება იმპერატორი. მოქმედებს რა მუქარით, მატყუარობით, გამოძალვით, სიყალბით და ყალბის მქნელობით, ჰესლინგი იხვეჭს ავტორიტეტს მშიშარ, მხდალ პროვინციელ ფილისტერებს შორის.

დიდერიხ ჰესლინგი წვრილმანი და ყოვლად უნიჭო კაცია, მაგრამ სწორედ ეს უწყობს ხელს მის სწრაფ აღმავლობას. სწორედ ეს წარმოუდგენელი გონებრივი სიჩლუნგე ხდის მას ოფიციალური იმპერიალისტური იდეოლოგიის გამტარებლად. ჰესლინგი ამ იდეოლოგიას ავტომატურად, დაუფიქრებლად ითვისებს. მთელი მისი „ბრძნული მოძღვრება“ შესდგება რამდენიმე მოარული ფრაზისაგან, რომელიც მას სტუდენტობის წლებში „ახალ ტევტონელთა“ კორპორაციის დროსტარების დროს გაუგონია: „სისხლი და რკინა საუკეთესო წამალია“, „ძალას მეტი მნიშვნელობა აქვს უფლებაზე“ და სხვა. ჰესლინგი გასაოცრად უკულტურო კაცია, იგი რაღაც ინსტიქტურ უნდობლობას გრძნობს მეცნიერებისა და აზროვნებისადმი. იგი აღიარებს — მუსიკის მოსმენა შემძლიან მხოლოდ მაშინ, როცა ლუდს ვსვამო.

ჰენრიხ მანის ეს რომანი ოცდახუთი წლის წინათ დაიწერა. ამას წინათ ამ რომანის ავტორმა ერთ-ერთ თავის წერილში გაატარა პარალელი დიდერიხ ჰესლინგსა და ჰიტლერის დღევანდელ ერთგულ ქვეშევრდომებს შორის. ჰენრიხ მანი ამ წერილში ამბობს:

„ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ჩემი რომანი „ერთგული ქვეშევრდომი“ არ იყო გაზვიადება, არც დამახინჯება ფაქტებისა... რომანი ასახავს იმ ტიპის განვითარების წინა სტადიას, რომელმაც შემდეგ ხელში ძალა-უფლება ჩაიგდო. ძალა-უფლების ხელში ჩაგდებამ და მისმა გამოყენებამ ამ ტიპს საშუალება მისცა სავსებით გამოემჟღავნებინა თავისი საზიზღარი ბუნება. ჩემმა „ქვეშევრდომმა“ შეიძლება გაგაცინოთ, ნაციც, რასაკვირველია, სასაცილოა, მაგრამ მან იმდენი ბოროტება ჩაიდინა, რომ აღარ რჩება ადგილი კომიზმისათვის“.

ვ. წ.

ჩვენი ძველი ნაცნობები

ბორის ჩხეიძე

ვილჰელმ მეორის საოკუპაციო არმიის პოლკი მოულოდნელად გაჩნდა სადგურ შორაპანში. ჯარი სატვირთო ვაგონებით მოვიდა, ერთ ეშელონად. პოლკოვნიკმა სადგურის უფროსის დაუკითხავად ვაგონები შავი ქვის სატვირთავ ბაქანზე დააყენა.

გერმანელები თავით-ფეხამდე შეიარაღებულნი იყვნენ. შორაპნის სადგური კი სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილს წარმოადგენდა.

აქედან გერმანელები ბატონობდნენ, კონტროლს უწევდნენ მთელ საულტეხილო უბანს, ზესტაფონს და ჭიათურას.

ბრძოლის ველს დაცილებული, ერთი შეხედვით მსოფლიო ბატონობა მოპოვებული ბავარელი და საქსონელი ჯარისკაცები ვაგონებში მხიარულად სცხოვრობდნენ და ბედნიერად ატარებდნენ დროს.

ბაქანზე დაბანაკებული გერმანელები არავის იკარებდნენ და არც არავის თითონ ეკარებოდნენ. განაპირებულად და ამაყად ეჭირათ თავი, როგორც ციდან მოვლენილ ზეკაცებს.

ყველა გრძნობდა, რომ ეს უცხო ჯარი საკეთილოდ არ იყო მოსული აქ და იმის გასაგებად, თუ როდის წავიდოდნენ, ან საით წავიდოდნენ, ახლო-მახლო გლეხობაც კი მოდიოდა მათ სანახავად. მათი ნახვა კი შეიძლებოდა რიყეზე ვარჯიშობის დროს.

სწორედ ასეთი წრთვნის დროს ნახეს გერმანელები ცობო და ილარიონ გრელიძეებმა.

კვირა დღე იყო. ცოლ-ქმარი ზესტაფონის ბაზრობიდან იმ დროს დაბრუნდნენ, როცა სხვები, მათი მეზობლები, ჯერ კიდევ არც წასულიყვნენ. ბონდის გადმოსვლის შემდეგ ბაგირების დასაჭიმ ოწინარებზე დასხდნენ. მიაჩერდნენ მოვარჯიშე როტებს და ქვედანაყოფებს. ჯარისკაცების წყობები გარბოდნენ, ხტოდნენ თხრილებზე და წვებოდნენ სანგრებში. ზოგი ყირამალა გადადიოდა. ცოლქმარმა ბევრი იცინა. ილარიონს მხედრის ყინმაც კი წამოუარა. ცობოს ხვნეშით უთხრა:

— ასე დაწყობილ ჯარში რომ მამსახურა, ოფიცრობას მივიღებო

მათი სახლი იქვე, შორაპნის კონცხზე იდგა, ერთი თუ ნახევარი ვერსის მოშორებით. მცირე შემართი ჩქარა აიარეს. ეზოს გადასაბიჯთან ცოლქმარი მომდურებულებივით დასცილდნენ ერთმანეთს: ცობომ აკვანს მიაშურა, ახლად გამოღვიძებულ ჩვილ ბავშვს, გოგიას, სათვალესა და ღინჭილოს რომ აჩხარუნებდა აკვნის სახელურზე, ძუძუ ჩაუდო პირში. ილარიონი-კი მარანს დაუტრიალდა. იმ დილით ზესტაფონს ღვინის ჭაშნიკი წაიღო, ღვინო გაჰყიდა, ბე ჯიბეში ედო. მუშტარი ერთ კვირაში უნდა მისულიყო ღვინის ასაწყავად თავისი ურმითა და რუმბით. გაყიდული ღვინო მოზრდილ ჭურში იდგა შავ ჭაჭაზე. სულ სამოცამდე ჩაფი გამოვიდოდა. ახლა ეს ღვინო უნდა გადაეღო, შინ სახარჯო, ხელუხლებელი და მუშტრის წასაღები გაერკვია, რადგან მოსავლამდე ჯერ შორს იყო.

სამი ქვაბი თხლე და ჭაჭა გამოვიდოდა. ღვინის გადაღების შემდეგ ეს ჭაჭაც იმ საღამოს უნდა გამოეხადნა. ხვალ კი ნაადრევი თესლი გაეტანა დობიროში.

გაზაფხულის თბილი მზიანი დღე იდგა. ვენახებში ატმები ჰყვაოდნენ. თოვლით შეხრილულივით იდგნენ ტყემლები და ალუჩები. მათ თეთრ და მოწითალო ყვავილის ფოთლებს ბრელოსავით აფრიალებდა ნელი ქვენა ქარი.

ნალვინევ ქვევრში ბურღივით ამუშავებდა სარცხელს ილარიონი. ხანდახან ოდის აივნისაკენ მიიხედავდა. იქ, მზისგულზე, დედამისს პელაგიას აკვანი თოკით გამოება ფეხზე, შვილიშვილს არწევდა. ნავარჯიშევი თითებით კი მარდად ჰქსოვდა წინდას.

ცობო სამზარეულოში იყო. ილარიონი იმასაც ხედავდა ღია კარებში,—სადილს ამზადებდა. სარცხელის შხუილს, ყვავილების სურნელებას, გაზაფხულის სითბოს როგორღაც საამურად ერთვოდა ორომზე ცომის ბრტყელების ტკაცა-ტკუცი და შეფიცხებული მჭადის სუნი.

* * *

ჯარისკაცები ვარჯიშისაგან მოიქანცნენ. სახეზე წურწურით ჩამოსდიოდათ ოფლი. ნარბენი ცხენებივით დასველებოდათ იღლიები, ბაყვები და პიჯაკის ზურგის თარგები. წამები საშინლად გრძელდებოდნენ. ყველა დიდყურა და წოწოლა-სახიან პოლკოვნიკისაკენ იხედებოდა ქურდულად, იქნებ გაეგონოთ ბანაკში წასვლის ბრძანებაო.

ბოლოს მართლაც გაიგონეს ეს ბრძანება. სადგურზე მისვლისას მაიორი გინც ვებერი და ლეიტენანტი ჰიმელ შტუცე განმარტოვდნენ.

— რაიმე შეთვალიერებული ხომ არა გვაქვს სოფელში, ლეიტენანტო?—ჰკითხა ვებერმა შტუცეს.

— აქ შეთვალიერება საჭირო არც არის. ეს მხარე გერმანია ნუ გგონია, აქ ყოველ სახლში მოიპოვება კუჭის ამოსავსები: ღვინო და ბევრი სხვა რამე... ერთ გერმანულ ფირმაში მიმუშავნია ჭიათურაში. აქაურობას ასე თუ ისე ვიცნობ.

გინც ვებერმა გაიცინა, მერე ისევ მოიღუშა და ამოიოხრა. გესლიანად დაიწყო:

— ეჰ, შტუცე! ჩვენს სარდლობას ყველაფერი მოფიქრებული ჰქონდა. ჩემი თვალით მინახავს გეგმა. იგი ადგილობრივ მთავრობისათვის წარსადგენად შემზადდა. ამ გეგმაში ქალებიც იყო გათვალისწინებული და ბევრი სხვა რამეც, რაც სამშობლოში არც კი მოგველანდებოდა.

— მერე რად აყოვნებენ?

— სულ წყეული ფრანგების ბრალია. არ იქნა მათი ამოყრა ვერდენის სიმაგრეებიდან. ვმარცხდებით, ვმარცხდებით, ჩვენი საქმე ბეწვზე ჰკიდია. ამის გამო იძულებული გახლავართ ვითამაშოთ კრავების და მეგობრების საძაგელი როლი. მერე ვისთან? სიამოვნებით ამოსაჟლეტ ამ აზიელებთან.

— ნუ თუ?—წამოიძახა შტუცემ.

— დიახ, ასე ლეიტენანტო შტუცე! რას იზამ: რაც არის არის... დღეს შენი სტუმარი გახლავარ, გამიძეხი, გამიმასპინძლდი,—უთხრა მაიორმა ლეიტენანტს.

ვებერმა თავისი მხლებელი გამოიხმო და სამი გერმანელი გაუდგა გზას სოფლისაკენ.

* * *

გაზაფხულის ჭრია, ხვატიანი დღე გადაიხარა. ილარიონმა ქვევრი ამორეცხა. ცხელ წყალში გახსნილი სოდის წყალი გამოავლო. ნაკვერჩხალით სავსე კავწიაში გოგირდი ჩაჰყარა, ამორეცხილ ქვევრში ჩაჰკიდა, უხრჩოლა. ქვევრის პირი სველი ტომრით დახურა, რათა გოგირდის აირი შიგნითვე დატრიალებულიყო.

ამას რომ მორჩა, ღვინით სავსე ჭურს თავი მოხადა, საწყაოები გვერდით მოიდგა და სამფეხა სკამზე ჩამოჯდა.

სამზარეულოსაკენაც გაიხედა. იქნება სადილი მზადააო. ამაოდ ელოდა ცობოს ხმას. ცოლი არ ეძახდა. აგვიანებდა. ყოყმანობდა ილარიონი: ჯერ ესადილნა თუ ღვინის გადაღება დაემთავრებინა და მერმე ეჭამა საჭმელი. ამიტომ შეეკითხა ცოლს:

— ქალო, რა ამბავში ხარ მანდ?

ცობომ პასუხი არ გასცა. მცირე ხნის შემდეგ გავიდა მხოლოდ მარანში. ფეხებშეკრული ყვერული გამოიყვანა.

— დავაწებებდი, ქალო, ქათამს თავს, კუჭი ხერხემალზე მიმეკრა, უსაყვედურა ქმარმა და უმალვე,—ეს საყვედური ცოლმა ნამდვილად არ ჩათვალოს და დასაკლავი ყვერული უკანვე არ გააბრუნოსო, ქათამი ჩამოართვა, ღობეში გამოჩრილ ხიმეზე კისერი გაადებინა და თავი გააგდებინა. მერე ისევ ცოლს მიუბრუნდა:—ასე მინდა, ქალო, ოცჩაფიანა ამოვრეცხე. ამას გასასყიდად გადავიღებ. დანარჩენით ნახარჯ ქვევრას, ცამეტიანას შევავსებ. ეს არის წლევანდელ მოსავლამდე ჩვენი ღვინო. ცოტა გავიჭირვოთ, სანამ მაჭარი მოგვიწევდეს.

ცობომ რთველამდე დარჩენილი დრო გამოითვალა. იკითხა, შაბიამანი ხომ გვეყოფაო. დასცინა ქმარს; უღვინობა შენ მოითმინეო, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია, გაციებული ყვერული აიღო და სამზარეულოს მიაშურა.

სამზარეულოში ცხელი მჭადები ერთმანეთზე ელაგნენ, ახლა ქათმის შესაწვავი კეცები ხურდებოდნენ და ამოსაფუფქი წყალი დუღდა ბუხარში. დედამთილი ნივრის წყლის საწებლისათვის ნივრის ჰილოებს ფცქვნიდა. კალთაში შვილიშვილი ეჯდა და ათამაშებდა.

რა კი სადილი იგვიანებდა, ილარიონი ისევ ღვინის გადაღებას შეუდგა. გარეცხილ ქვევრიდან გოგირდის მწარე ჰაერი ამოუშვა. ორშიმს, ძაბრს და თექვსმეტ-ჩარექიან საწყაო ჩაფს წყალი გამოავლო.

ყურები სცქვიტა: ორღობიდან წკავ-წკავი შემოესმა. მეზობლის ფინიამ მის გარემოზე გადაირბინა. ნეტავ რა ცოფი დაემართაო, გაიფიქრა ილარიონმა და ისევ საქმეს შეუდგა. ამ დროს ეკალას ბურდიდან ჭახჭახით აფრინდა შაშვი და ქოთქოთით იქაურობა აიკლო. ეს უკვე მეტის-მეტი იყო. ილარიონმა გარემოს გადახედა და რამდენჯერმე შესძახა:

— ჰაუ!.. ჰაუ!.. ჰაუ!..

რადგან თვალი ვერაფერს მოჰკრა, ღვინის გადაღება განაგრძო. ჭურს საზედაშე აართვა ჩარექით. სავსე ჭურჭელი დედას მიუტანა აივანზე. იგი ახლა აქ გამოსულიყო შვილისშვილიანად. მოხუცი მშვიდად ათვალიერებდა მარანში შვილს, სამზარეულოში რძალს და ირგვლივ გაზაფხულისაგან გაღვივებულ მიდამოს.

ილარიონი ისევ მარნისაკენ მიბრუნდა, მერე კახორის წმინდა გიორგი ახსენა, პირჯვარი გადაისახა და ის იყო ორშიმი ჭურში ჩაჰყო რომ, თითქოს ღობეს კამეჩები მოაწვენო, ხიმის ლაწალუწი შემოესმა. ორშიმი შეაცივდა.

მარანში სათითაოდ ბრაგვანი მოადინეს მაიორმა გინც ვებერმა, ლეიტენანტმა ჰიმელ შტუცემ და ვებერის მხლებელმა.

გერმანელები ღობის ძირშივე დაეწყვნენ, ხელები რევოლვერის ხის ბუდეებზე დაიდვეს და ნაბიჯით მიუახლოვდნენ მოულოდნელობისაგან შეშფოთებულ ილარიონს, რომელსაც არც ვაჟკაცობა აკლდა, არც გამბედაობა და არც ღონე სამივეს გასწორებოდა დაუპატიჟებლად შინ შემოჭრისათვის, მაგრამ წარმოდგენა არა ჰქონდა, რა განზრახვით იყვნენ აქ მისული.

გერმანელები მოხდილ ჭურს დაადგნენ თავს. ჰიმელ შტუცემ ილარიონს ნელა მიადო მსუქანი და ბლაგვი თითები მკერდზე, განზე გასწია ის, სამფეხა სკამი მიითრია და პატრონივით ჭურის თავთან დაჯდა. ასევე თვითნებურად სტუცა ჩაის ჭიქა ჭურში. გაავსო. ამოიღო. გალანდა. ოცხანურით შელებილი ციცქის წვენი ლალივით კრიალებდა ჩამავალ მზის სხივებზე.

შტუცემ კმაყოფილად ჩაილმუვლა რაღაც თავის ენაზე. ღვინოს უსუნა, მოსვა. მერე ილარიონისათვის გაუგებარი, მაგრამ მისახვედრი სიტყვა სამჯერ ჩაილაპარაკა.

— გუდ!.. გუდ!.. გუდ!..—უეცრად ასწია და ძირამდე გამოცალა.

ილარიონი შეტორტმანდა, ხელები გაიქნია. გერმანელებმა ეს შენიშნეს და მიიხედ-მოიხედეს. მიხვდნენ, რაღაც შეტორტმანდა ილარიონი. მარანში მომავალ ქალს ანიშნებდა, დაიმალეო. ქალი ცობო იყო. სადილად დასალევ ღვინისათვის დოქი მოჰქონდა.

ილარიონი ისევ შეიძრა, ისევ ანიშნა ქალს რაღაც. გერმანელები დაიქოჩნენ, რაღაც დაიზმუვლეს. ვებერის მხლებელმა რევოლვერი გაიძრო, წინ აეყუდა მას, დაახევინა კოპიტის ხემდე.

გინც ვებერმა ცობოსთან მიირბინა, ხელი მოავლო, ჭურის თავთან მიიყვანა. ეხლა ჰიმელ შტუცე წამოხტა. ხელების შლით და ყუნცულით ანიშნა ცობოს, მაგიდა, სკამები, საფენი და ღვინის შესატანებელი საჭმელი მოგვიტანეო. თან ვებერის მხლებელზე უჩვენა: თუ არ მოიტან, ნახავ რას გიზამსო.

ცობომ ოდისაკენ გასწია. სანამ გერმანელები თითო ჭიქას კიდევ დასცლიდნენ, მაგიდა, სკამები, მჭადი, ერთი ცალი ყველი და მოკუპული პრასის კონა მოიტანა.

— გუდ!.. გუდ!..—მოიწონეს გერმანელებმა.

ვებერმა გაუღიმა კიდევაც ქალს. მხლებელმა შეყენებული დამბაჩა ძირს დასწია. ჰიმელ შტუცეც მოლბა. ცობოსთან ახლოს მივიდა. სახეში ჩააცქერდა. მოურიდებლად მკერდზე გადმოყრილ ნაწნავებს ხელი აუკრა, ზურგზე გადაუყარა. დასასრულ, იგივე ბლაგვი თითები ნიკაპ ქვემოთ ნაკეცზე მოუთათუნა.

ილარიონი ისევ შეიძრა ადგილზე. იმა აებურძგნა ბრაზისა და უმწეობისაგან. ვებერის მხლებელი ფხიზლად იყო. ეს შენიშნა, დამბაჩა ასწია, პირდაპირ მარცხენა ძუძუს დაუმიზნა.

ილარიონმა უკან დაიწია და კოპიტს მიეხალა. მხლებელი ამით არ დაკმაყოფილდა. საკინძეში ხელი ჩაავლო, მაგიდასთან მიათრია და ჭურის თავის ბექობზე ძალით დასვა.

შტუცე და ვებერი ნიშნებით ლაპარაკს განაგრძობდნენ ცობოსთან. გერმანელები საჭმელს მოითხოვდნენ. მოტანილი ეცოტავებოდათ. ცობომ უნებლიეთ წამოიძახა:

— იცოდეს ღმერთმა, შვილს გეფიცებით, პური არ გვაქვს!—და უმწეოდ მოავლო თვალი კარმიდამოს.

გერმანელები ნიშნების ჩვენებას მაინც არ მოეშვნენ. შტუცე ოთხზე დადგა და ღორივით აღრუტუნდა. ამან ქალი მწარედ გააცინა. რას მოითხოვდნენ კი, ვერ მიხვდა. გამოსავალი გინც ვებერმა იპოვა. ოდისაკენ გასწია, აივანზე ავიდა, მოაჯირს შეახტა. დირეზე ღორის თეძოს შაში ჩამოჰგლიჯა და მაგიდაზე დააგდო. შტუცემ ჯიბის დანით რამდენიმე ნაჭერი შეაჭრა. დანარჩენი მხლებელს გადასცა. მან თეძო ქამარზე ნანადირევივით ჩამოიკიდა. ბევრი სჭამეს გერმანელებმა მოუხარშავი ღორი და კიდევ უფრო მეტი სვეს. ციცქის წვენმა იმოქმედა. ისედაც წითელი გერმანელები წამოჭარხალდნენ. ალაპარაკდნენ. თვალები დაებღვრათ. ვებერს სულგრძელობა და სათნოებაც კი ალმოაჩნდა: ღვინით სავსე ჩაის ჭიქა მიაწოდა ილარიონს, რომელსაც ჯავრისაგან კრიჭა შეჰკროდა და თითქმის არაფერი ესმოდა. ვებერი არ ეშვებოდა.

— დალიე, თორემ დაგიშავებენ რამე!—მიაწვდინა ხმა ცოლმა ქმარს. თან თავი შეიპაგრა, გული არ შემილონდესო.

ილარიონმა ჭიქა გამოართვა. უგემურად შესვა. ეჩვენა, თითქოს ღვინო კი არა, შხამი დალია. მაგრამ როცა ჭიქა დაუბრუნა ვებერს გაიფიქრა: „იქნებ ამას დასჯერდნენ. ოღონდაც ასე იყოს და იმ მათარებსაც აუვსებ, ზედ რომ ჰკიდიათო“.

მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდა. ვებერმა ამღვრეული თვალით შეხედა ჯერ ილარიონს, მერე ცობოს. თვალის დახამხამებაზე ღობესთან მიიჭრა. იქ, სისხლით შესვრილ ხიმესთან, ყვერულის ბუმბული შეაგროვა, მიიტანა, ცობოს უჩვენა. ანიშნა: ქათამი დაგიკლავთ, აქ მოიტანეო. ამას ცოლიც მიხვდა და ქმარიც.

— გასწი, ქათამი დედას გამოატანე, ამ ძაღლებს მიუგდოს, შენ კი დაერიდე!—უთხრა ცოლს ილარიონმა. მის ხმის გაგონებაზე, ვებერმა მხლებელს დაუღრიალა. ისიც წამოდგა და რევოლვერი საქოჩრეში დაუმიზნა ილარიონს.

ცობო წავიდა ქათმის მოსატანად. ვებერმა დარაჯის თვალი გააყოლა მას. ეჭვში არ მოტყუვდა. ჩქარა სამზარეულოდან ილარიონის დედა პელაგია და ცობო ერთად გამოვიდნენ. შემწვარი ყვერული თეფშით მოხუცს ეჭირა. ცობო კი შარის გადასაბიჯისაკენ მიიჩქაროდა.

ვებერი წამოხტა. გაექანა. მოხუცს ქათმიანი თეფში დაჰგლიჯა, ცობოსაც დაეწია, ნაწნავებით დაითრია და მარანში შეიყვანა. ქათამი რომ დასდო მაგიდაზე, ისევ ქალს მიუბრუნდა. მძლავრი ხელები მხარზე დაჰკრა და მოცელილივით დააგდო თავის სკამზე. მხლებელმა და შტუცემ ქათამი შუაზე გაჰგლიჯეს. პელაგიამ აკვანს მიაშურა. გადაეფარა ზედ. შვილისა და რძლის იმედი დაწმინდა. ერთად-ერთი ფიქრიღა ჰქონდა: ბავშვი მაინც გადაერჩინა. მერე იქნება ხალხიც მომეშველოს, ქვეყანას ბევრი შეუძლიანო, ცივი კივილ-წივილით თავში ხელი წაიშინა.

შტუცე დათვივით ავარდა აივანზე, მოხუცი აკვანს ააგლიჯა და ხელი ჰკრა. მერე დინჯად, თითქოს ჯიბიდან რაიმე საჩუქარს იღებსო, მანაც რევოლვერი ამოიღო. ჩვილ ბავშვს საფეთქელთან დაადო ლულა.

პელაგია მუხლებზე დაეცა. აღარც ხმას იღებდა, აღარც შვილისა და რძლისაკენ იხედებოდა. შტუცესაც ეს უნდოდა. დინჯად დაუბრუნდა სუფრას. რაღაც ლაპარაკი გააბეს. ამ ლაპარაკის შედეგად ილარიონს ხელები გაუკრეს. ვებერის მხლებელმა ის სადღაც წაიყვანა. თითო ჭიქაც გადაჰკრეს, ქათამი შეუსნეს. შტუცემ ნივრისწყლის საწებელი ხელფინათი შეხვრიპა. წამოდგნენ. შტუცე მაიორს მოუტრიალდა, გამოეჭიმა. თვალებით უთხრა თითქოს: აწი რაღას ინებებო. ვებერმა ანიშნა—მომყეო.

ცობოსთან მივიდნენ. აქეთ-იქიდან მკლავებში ხელები გაუყარეს, ვებერმა თავისუფალი ხელი პირზე მიაფარა და ოდის კიბეზე აიყვანეს. აივანზე შტუცე მოსცილდა მათ. აკვანი კალათივით მკლავზე ჩამოიკიდა, პელაგიაც წაიყვანა და სამზარეულოში შეაგდო ორივე. მერე გარედან დაჰკეტა და საფრთხობელასავით დადგა გარეთ—დარაჯად.

მოხუცმა კიდევ იკივლა. შტუცემ კარი შეაღო. ფეხზე შეყენებული რევოლვერი ჩვილს დაადო საფეთქელთან.

პელაგია დადუმდა. მაიორმა ვებერმა ცობო ოდაში შეაგდო. შიგნიდან ჩაჰკეტა.

სახლს, სამზარეულოს და ღობეს გარშემოხვეულ კეტებით შეიარაღებულ მეზობლებს და შტუცეს ესმოდათ საშინელი რახარუხის ხმა. ეს ხმა ოდიდან მოდიოდა. ფანჯარას სკამი მოხვდა. დაფშვნილი მინები მიწაზე მიმოიფანტა.

ბოლოს სახე-დაკაწრული, გულისპირ-ჩამოგლეჯილი მაიორი ღია კარიდან გამოვარდნილი, კიბეზე დაეშვა. აივანზე ილარიონის ლანდმაც გაიელვა.

შტუცე ლოდივით გაუნძრევლად იდგა სადარაჯოზე. ვერ გადაეწყვიტა, მიშველებოდა თუ ასე განეგრძო დგომა. მაიორის მიერ ბრძოლის წაგებამ საგონებელში ჩააგდო. „მგონია, ეს მეტის-მეტი ვქენით, ფრანგებმა გაგვიფუჭეს საქმე, ვაი თუ დამარცხებული არმიის ჯარისკაცებს ეს საქციელი ფორმალურად მაინც მოგვკითხონ. როგორ უნდა დავაღწიო თავი?“ დაუსვა თავის თავს კითხვა.

პასუხის მიცემა აღარ დასცალდა. ღობიდან რევოლვერის ხმა მოისმა. მკერდ-გახვრეტილი შტუცე მიწაზე დაეცა.

ეზოში კიდევ მაიორი გინც ვებერი დაბარბაცებდა. თავის გასარიდებლად ამაოდ ქშებდა გადასაბიჯს. ტყვია ხან ხელთან გაუწუვლებდა, ხან საფეთქელთან. მერე ეს ორომტრიალი უცხო ხმაურმა დაჰფარა.

ათამდე გერმანელი ჯარისკაცი შევარდა ეზოში ეფრეიტორ კაცის მეთაურობით. ყოველ კუნჭულში დაძებნეს ილარიონი. მაგრამ ვერსად ნახეს. გერმანელებმა დაჩხრიკეს და გადააბრუნეს სოფელიც. ილარიონი ვერც იქ აღმოაჩინეს.

წაიღეს მკვდარი მხლებელი (იგიც ილარიონს მოეკლა), მკვდარი შტუცე და მკვდარივით მთვრალი ვებერი.

პირში ჩალაგამოვლებულნი დაბრუნდნენ ბანაკში გერმანელი ოკუპანტები.

მეორე დღისთვის სოფელი დიდ ამბავს მოელოდა. ღამე არავის დაუძინია. დილით სამეთვალყუროდ სადგურზე ჩასული რამდენიმე კაცი ჩქარა დაბრუნდა უკან ძალზე გაკვირვებული. კაიზერის საოკუპაციო ჯარი სადღაც გამქრალიყო. რამდენიმე დღის შემდეგ გაიგეს ნამდვილი მიზეზი. სამშობლოში დამარცხებული გერმანელები იმ ღამით გაპარულიყვნენ. იარაღი კი მოკავშირეთა ჯარისათვის ჩაებარებინათ ბათომში.

ცობოს ორ დღესა და ღამეს ელანდებოდნენ დაგიჟებული გერმანელები. მერე დავიწყებას მისცა და მოუთმენლად ელოდა ილარიონის დაბრუნებას, რომელმაც იგი სირცხვილს, თავის მოჭრას და ტოლ-ამხანაგებში გამოკლებას გადაარჩინა. ილარიონი ორ წელიწადნახევარს შემდეგ დაბრუნდა წითელი არმიის მეთაურის კოხტა ტანისამოსში გამოწყობილი.

პელაგია?—თავისი დღით გარდაიცვალა.

ჩვილი?

სანამ დავაჟკაცდებოდა და წითელი არმიის რიგებში შევიდოდა, ჩვილს სოფელში ილარიონის გოგიას ეძახდნენ. მას შემდეგ კი, რაც სოფელში მისმა გმირობის ამბავმა მიაღწია სამამულო ომის ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტიდან, ილარიონის გოგიას მეზობლებმა ილარიონის გიორგი დაარქვეს. თანაც იტყოდნენ, მამის შვილია, კვიცი გვარზე ხტისო.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე,
გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 43465